



საჯალმონო სერვისის  
განვითარების სააგენტო

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო  
დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით  
საკონკურსო კომისიის სხდომის

ო კ მ ი № 3

ქ. თბილისი

23 მაისი, 2013 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნინო ინწვირველი

საკონკურსო კომისიის წევრები: მამუკა სამხარაძე, ზვიად ნადირაძე,  
მალხაზ ტაბლიაშვილი, ოლეგ დოლიძე.

საკონკურსო კომისიის აპარატის  
წევრები: ლაშა ბოკუჩავა, გიორგი მესხი.

**დღის წესრიგი:** ქ. ადიგენის ტერიტორიული სამსახურის შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარების მიზნით საჭირო საინჟინრო-საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ გვერდზე გამოცხადებულ #756 კონკურსში კონკურსანტის მერ წარმოდგენილი წინადადების განხილვა.

**მოხმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრის, მალხაზ ტაბლიაშვილის გამოსვლა, რომელმაც საკონკურსო კომისიას შეახსენა, რომ საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში წინადადება დალუქული კონვერტის სახით წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა შპს „ოპტიმუსმა“ რომლის საკონკურსო წინადადებაც შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, აქედან გამომდინარე კომისიის წევრმა მალხაზ ტაბლიაშვილმა კომისიის თავჯდომარესა და კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მიზანშეწონილად მიაჩნია შპს „ოპტიმუსი“ დაშვება ზეპირ ვაჭრობაზე.

**საკონკურსო კომისიამ დაადგინა:**

1. შპს „ოპტიმუსი“-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ჩაითვალოს მისაღებად და მოწვეულ იქნეს საკონკურსო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ ზეპირ ვაჭრობაზე 2013 წლის 24 მაისს 11 სთ-ზე მონაწილეობის მისაღებად;


2. საკონკურსო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს ზეპირ ვაჭრობაზე მოწვევის შესახებ წერილის გაგზავნა შპს „ოპტიმუსი“-სთვის დაუყოვნებლივ.

კომისიის თავმჯდომარე:  /ნინო ინჯირველი/

კომისიის წევრი:  /მამუკა სამხარაძე/

კომისიის წევრი:  /ზვიად ნადირაძე/

კომისიის წევრი:  /ოლეგ დოლიძე/

კომისიის წევრი:  /მალხაზ ტაბლიაშვილი/